მცხეთის ჯვრის ტაძრის შინაარსისთვის

მცხეთის ჯვარს ქართული კულტურის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს. საკვირველად შერჩეული ადგილმდებარეობა, უზადო პროპორციები თუ საამშენებლო ტექნიკა მას სამართლიანად აყენებს მსოფლიო ხუროთმოძღვრების შედევრთა რიგში.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: ამ უნიკალური ტაძრის ხუროთმოძღვრულ ფორმათა უზადოობა მხოლოდ მშენებლის გამორჩეულმა გემოვნებამ განაპირობა, თუ რაღაც კიდევ სხვამ. პასუხისათვის კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ტაძრის ისტორია.

როგორც ცნობილია, მცხეთის ჯვრის ტაძარი აგებულია წმნიდა ნინოს მიერ აღმართული პატიოსანი ჯვრის გარშემო, როგორც ამ უნიკალური სიწმიდის ბუდე და სანაწილე. სამეცნიერო ლიტერატურაში (Г. Чубинашвили, памятники типа Джвари) იმთავითვე მიიპყრო ყურადღება ორი ჯვრის თანაარსებობამ. პირველი, როგორც ვთქვით, წმინდა ნინომ აღმართა, ხოლო მეორე კი ვეება, უკვე გუმბათში, ქვის წყობით გამოიყვანა მშენებელმა. დაისვა კითხვა: ეს ორი ჯვარი ტაძრის სივრცეში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობს, თუ მათ შორის ფარული შინაარსობრივი კავშირია? ეს მით უფრო საკითხავია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე ჯვარმა, თავისმხრივ დიდი გავრცელება ჰპოვა ქართულ სატაძრო ხუროთმოძღვრებაში. წმინ და ნინოს მიერ აღმართული ჯვრის მსგავსად მრავლად გვხვდება შემდგომში ე. წ. „საკურთხევლისწინა ჯვრები," რომლებიც სწორედ საკურთხევლის წინ, გუმბათქვეშა სივრცის ცენტრში დგანან; გუმბათის ცაში გამოყვანილი ჯვარიც ასევე ფართო გავრცელებას პოულობს, როგორც რელიეფური სახით, (ატენი, სამწვერისი, თელოვანი, შუამთა, ყანჩაეთი და სხვ.) ასევე ფერწერულითაც – ე. წ. „ჯვრის ამაღლების" სახით (იშხანი, მანგლისი, ტიმოთესუბანი, ყინწვისი, ვარძია და სხვ.) გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ ტრადიციის სათავე მცხეთის ჯვარშია საძიებელი. ეს მით უფრო ამძაფრებს ინტერესს მათი სემანტიკური ურთიერთმიმართებისადმი.

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ქართლის მოქცევის ისტორიას. მას შემდეგ რაც მოხდა სვეტიცხოვლის სასწაული და საჭირო გახდა ჯვრის სახის შექმნა, „ჰპოვეს ხ ერთი მარტო , მდგომარე კლდესა ზედა", რომელიც იკონოგრაფიის ყველა ნიშნით სიცოცხლის ხეა, აღმოცენებულია ქართლის მოქცევამდე და არის ხატი ჭეშმარიტი სიცოცხლის ხის მოლოდინისა. 25 მარტს, ანუ ხარების დღეს, ახალი აღთქმის დაწყების დღესასწაულზე, იჭრება ეს ძველი აღთქმის სიცოცხლის ხე და მისგან იქმნება ახალი სახე ჭეშმარიტი სიცოცხლის ხისა, ანუ ჯვარი. წმინდა ჩვენებით სვეტიცხოველიდან ამოსული სამი ვარსკვლავიდან ერთ-ერთი გადის „მიერ კერძო არაგუსა და დაადგრის ბორცუსა ზედა კლდისასა." სწორედ ამ მინიშნებულ ადგილზე წმინდა მირიანმა „ჴელითა კაცებრივითა" აღიღო ჯვარი და წმინდა მოციქულთა სწორის ნინოსა და იაკობ მთავარეპისკოპოსის თანხლებით, ერის სიმრავლესთან ერთად, პატივით მიაბრძანა მინიშნებული ბორცვის ძირში. ღამისთევით ლოცვის შემდეგ „აღიწივნენ რა კლდესა მას ზედა" წმინდა ნინომ

„დასდვა ელი... ერთსა ქუასა“ და უთხრა იაკობ მთავარეპისკოპოსს: „მოვედ, შენდა ჯერ არს, დასწერე ჯუარი ქუასა ამას“. ამის აღსრულების შემდეგ აღმართეს „ჯუარი იგი დიდებული“ და „მოდრკა მეფ მუხლთა თ სთა ზედა და ყოველნი მთავარნი და ყოველი სიმრავლ ერისა და თაყუანი-სცეს ძლევით შემოსილსა ჯუარსა“.

აღწერილი ამბავი ყველა ნიშნით უდავოდ ქართლის ეკლესიის საყოველთაო დამყარების ისტორიაა, სადაც მთაზე ასვლა განასახიერებს ერის სულიერ ამაღლებას („ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა... უბრალო ელითა და წმიდა გულითა“ ფს. 23.). კლდე თვით უფლის მიერ სახარებაში გაცხადებული ურყევი საფუძველია ეკლესიისა, ხოლო მთავარეპისკოპოსი იაკობი კი – იგივე წმიდა პეტრე, სასუფევლის კლიტეთმპყრობელი და თავი ეკლესიისა. კურთხევის შემდეგ კლდეზე აღმართული ჯვარი – ეს არის ნიშანი სრულიად ქართლის მზაობისა ქრისტიანობისათვის; ჯვარპატიოსანი კლდესა და მთასთან ერთად სიმბოლურად განასახიერებს საქართველოს ეკლესიას. სწორედ ამიტომ „ვითარცა აღემართა ნიშანი ჯუარისა ქუეყანასა მას ქართლისასა,“ მეყსეულად შეიმუსრა ყველა კერპი, ქართლის სივრცე განიწმინდა კერპთაყვანისმცემლობისაგან.

ზემოთ მოყვანილი წმიდა ისტორია ფაქტობრივად არის მთელი ქართველი ერის ძიება, თხოვნა და „რეკვა“ ჭეშმარიტ ღმერთთან თანამყოფობაზე და როგორც უფალი ბრძანებს: „ითხოვდით და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით და ჰპოვოთ; ირეკდით და განგეღოს თქუენ.“ (მთ. 7-7.) სწორედ ამიტომაც არ დააყოვნა, განიღო კარი ზეცისა და მოხდა დიდი სასწაული „ზეცით ზეგარდამო:“

„დღესა მარტვილიის უკან ოთხშაბათსა, აჰა ესერა სუეტი ნათლისა სახედ ჯუარისა დგა ზედა ჯუარსა მას და ათორმეტნი ანგელოზნი დაგვირგვინებულ იყვნეს გარემოს მისა, ეგრეთვე სახედ ათორმეტნი ვარსკვლავნი დაგვირგვინებულ იყვნეს, ხოლო ბორცვი იგი ჯუარისა ერთსახედ კუმოდა სურნელად.“
„და მერმე კუალად იხილეს სხუა სასწაული პატიოსნისა ჯუარისა : ვითარცა ცეცხლი და ვითარცა ალი ეგზებოდა ზედა თავსა ჯუარისასა სამგზისა მზისა უბრწყინვალესი, და ვითარცა სა უმილსა რა ნაბერწყალი აღვალნ ძლიერად და ყოველი ქუეყანა იძრვოდა, და მთათა და ბორცვთა და ღელეთა არმური სურნელებისა აღვიდოდა ცამდე.“

ტექსტიდან ნათლად ჩანს, თუ ერის მიერ აღმართულ ჯვარს როგორ ჩამოეგებება ღვთის კურთხევის ნიშნად ცეცხლოვანი ჯვარი. იკვეთება ვერტიკალური კავშირი მიწასა და ცას, ზეაღმავალს ზეცითგარდამომავალს შორის.

განსაკუთრებით საყურადღებოა აღწერილი ამბის იკონოგრაფიული სემანტიკური არსი: იგი შედგება მთისაგან, რომელიც დაგვირვინებულია კლდეზე აღმართული ჯვრით და მის თავზე ზეციდან გარდამოსული უკვე სხვა, ცეცხლოვანი ჯვრისაგან. განსაკუთრებით აღსანიშნავი სწორედ ზეციდან გარდამოსული ჯვრის მნიშვნელობაა. საქმე ის არის, რომ იერუსალიმური განჩინებით, რომელიც უძველესი, VI-VII საუკუნეების, კალენდარია, მცხეთის ჯვრის ტაძრის დღესასწაული იზეიმობოდა არა ერის მიერ მთაზე ჯვრის აღმართვის, არამედ ამ

ჯვრის ზეციდან კურთხევის დღეს, ანუ მარტვილიის უკან ოთხშაბათს. ამ ფაქტზე იმთავითვე გაამახვილა ყურადღება კ. კეკელიძემ. და ეს შემთხვევით არ არის; თუ ჩავუკვირდებით, გაცნობიერდება ზეცით გარდამოსული სასწაულის სახისმეტყველება. ცეცხლის ალი, „ანგელოზთა და ვარსკვლავთა რიცხვი ათორმეტი," მიწისძვრა და „არმური სურნელებისა" ძლიერ გვაგონებს სულიწმიდის მოფენას მოციქულებზე. ეს მით უფრო ნიშანდობლივია, რამდენადაც სასწაული მოხდა სწორედ მარტვილიის დღეებში, ოთხშაბათს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მცხეთის ჯვარზე გარდამოვლენილი სასწაულით, როგორც სულიწმიდის მოფენით, ფაქტობრივად, განსრულდა ქართლის მოქცევა, რომელიც ნიშნეულად ხარების დღეს დაიწყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სრული ციკლი – ხარებიდან სულთმოფენობამდე.

ზემოთ მოყვანილიდან ერთმნიშვნელოვნად შეიძლება დავასკვნათ, რომ მცხეთის ჯვრის დღესასწაული – მარტვილიის კვირის ორშაბათი – ფაქტიურად არის ღვთისაგან საქართველოს ეკლესიის კურთხევის განსრულების დღესასწაული და ამდენად – უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი ჩვენი ერის მართლმადიდებლობისა.
ყურადღებას იპყრობს მცხეთის ჯვრის სასწაულის ერთი ასპექტი: ანგელოზები და ვარსკვლავები ცეცხლოვან ჯვარს წრიულად ევლებიან. ფაქტობრივად აქ ცხადდება წრეში ჩაწერილი ჯვარი, დაახლოებით ეგრეთ წოდებული „ბოლნურის" მსგავსი. წრე კი ქრისტიანული სახისმეტყველებით (და არა მარტო ქრისტიანული) სახეა საუკუნოსი, მარადიულისა. ამის პირდაპირი მამტკიცებელია წმიდა ბასილი დიდის სიტყვები, თქმული მარტვილიისადმი, სადაც, წმიდა მამის განმარტებით, მარტვილია – შვიდგზის სრულქმნილი შვიდეული – ორმოცდამეათე, იგივე პირველი და მერვე ანუ ერთშაბათი, ფაქტობრივად არის დღე დაუსრულებელი და დაუღამებელი, მერვე დღე, ანუ მარადიულობა, რომელიც სწორედ წრებრუნვის სახეს იღებს. ამ კონტექსტში მცხეთის ჯვარზე ზეცით გარდამოსული წრეში ჩაწერილი ჯვარი აშკარად წარმოგვიჩნდება როგორც ხატი ქრისტიანულ ქართლზე მერვე დღის, ანუ სასუფევლის მადლის გარდამოვლენისა. საბოლოოდ ცხადია მცხეთის ჯვრის დღესასწაულის მნიშვნელობა ქართველი ერისათვის, როგორც დღესასწაულისა ძლევისა და სულიწმიდით მარადიულობასთან უქცევი შეკავშირებისა. მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ჯვრის დღესაწაული არაჩვეულებრივად ჰგავს საქრისტიანოს ერთ-ერთ უდიდეს დღესასწაულს, კერძოდ, იერუსალიმში ჯვრის დიდ გამოჩინებას. ამ მსგავსებაზე სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ გამახვილდა ყურადღება.

როგორც ცნობილია, ეს სასწაული მოხდა იერუსალიმში 351 წელს. ალ. კვიპრელის ქრონიკის მიხედვით ჯვრის ზეცით გამოჩინება მოჰყვა არიანელთა მწვალებლობას, რომელიც მოითხოვდა მრწამსიდან „შობილი და არა ქმნილის" ამოღებას. ამის სანაცვლოდ კი უფალმა ზეცით გარდამოავლინა სასწაული ნიშნად იმისა, რომ მართლმადიდებლური სწავლება ადამიანის გონებით მოაზრებული ფილოსოფიურ-ლოგიკური პარადიგმა კი არ არის, არამედ ღვთის ნებით ზეციდან გაცხადებული ურყევი ჭეშმარიტებაა.

ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა:

„მაშინ მყისსა შინა გამოჩნდა ზედა წმიდისა გოლგოთასა ზეცით შუა სამხრის ოდენ ჯუარი ფრიად დიდებული, ნათლითა ბრწყინვალითა შემკული, რომელმან დაფარა ბრწყინვალება მზის თუალისა თ სითა ბრწყინვალებითა.“
იმავე ამბავს ასე მოგვითხრობს კირილე იერუსალიმელის ეპისტოლე კონსტანტი იმპერატორის მიმართ:

„რამეთუ წმიდათა მათ დღეთა ერგასისთა მარტ რია სთა, თთუესა მაისსა შვიდსა, მესამე ჟამსა დღისასა, ყოვლად დიდად შუენიერად ჯუარი, ნათლითა შემკული ცათა შინა ზედა წმიდისა გოლგოთასა, ვიდრე წმიდად მთამდე ზეთისხილთა გარდართხმულად ჩუენდა არა თუ ერთსა ხოლო, გინა ორსა ეჩუენა, არამედ ყოველსა სიმრავლესა ქალაქისასა ცხადად...“

ეს ნაწყვეტები წარმოგვიდგენს საკვირველ და დიდებულ სურათს ახალი, ქრისტეს მიერ ჯვარცმით გამოხსნილი, კოსმოსისა, რომლის ცენტრში დგას სამყაროს ღერძი, გოლგოთას ჯვარი, ხოლო მის თავზე ზეციდან გარდართხმული ნათლის ვეება ჯვარი უდავო ნიშანია „სიკვდილითა სიკვდილის“ ძლევით მარადიულობის ტრიუმფისა; ანუ სხვაგვარად, ეს არის ხატი ძისა და სულიწმიდის მიერ სამყაროს გამოხსნისა და მართლმადიდებელი ეკლესიის მშვიდობით დამყარებისა.

თუ მოვახდენთ ამ დიდებული საწაულის იკონოგრაფიული ნიშნით „ჩაწერას“ მივიღებთ მთას (გოლგოთას), ამ მთაზე – ჯვარს (მაცხოვრის ვნების ჯვარს), ხოლო გოლგოთის ჯვარზე ზემოდან კიდევ მეორე ჯვარს, რომელიც ნიშნად მისი ცაზე გამოჩინებისა, ჩაიწერება წრეში.

უდავოა არაჩვეულებრივი მსგავსება მცხეთის ჯვრისა და იერუსალიმის სასწაულებს შორის. ორივეგან ფიგურირებს მთა, მასზე აღმართული ჯვარი და ზეციდან გარდამოსული მეორე ჯვარი. მაგრამ ამ „იკონოგრაფიულ-სახისმეტყველებითი“ იდენტურობის გარდა საკვირველი სიმბოლურობით თანხვდება თვით დღესასწაულის დღეებიც. იერუსალიმში ჯვარის გამოჩინება მოხდა 351 წლის 7 მაისს, ხოლო მცხეთის ჯვრის სასწაულის ზუსტი თარიღი კი ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვიცით, მაგრამ მიწიერ ჟამიერებაში აცდენილი ეს დღესასწაულები ერთმანეთს მარადიულ სივრცეში ეგებებიან, რადგან ორივე გაცხადდა მარტვილიის დღეებში.

ყოველივე ზემოთქმული მრავალი საგულისხმო დასკვნის საშუალებას გვაძლევს. ფაქტობრივად გამოჩნდა, რომ მცხეთის ჯვრის დღესასწაული – ამსახველი კონკრეტული სასწაულისა – ამასთანავე არის ნიშანსვეტი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ძლევით დამყარებისა და თანახატი მართლმადიდებლობის კოსმიური ტრიუმფისა, მისი ქართული, ეროვნული „პერიფრაზი“. ვამბობთ რა ეროვნულს, არ უნდა შეგვეშინდეს ამ სიტყვისა ქრისტიანობასთან მიმართებით, რადგან ჭეშმარიტი ქრისტიანობისათვის უცხოა როგორც წამლეკავი უსახური კოსმოპოლიტიზმი, ასევე – ჩაკეტილი ნაციონალიზმი. ყოველივე ნამდვილად ეროვნული კი ხატივითაა. იგი ხატივით ატარებს მადლს პირმშოსი, ანუ ჭეშმატებისა და ხატივითვე განუმეორებლობით გამოთქვამს მარადიულს.

ცხადი ხდება, თუ საიდან იღებს სათავეს ჯვრის ხუროთმოძღვრულ ფორმათა უზადოობა, რადგან ჭეშმარიტად ეროვნული საყოველთაო დღესასწაული ერმა შესაბამისი მშვენიერებით შეამკო და გაანივთა. ახლადმოქცეული ქართლი თითქმის სამი საუკუნე კრძალვით უცდის ამ ტაძრის აშენებას და მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ერში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ქრისტიანული ფორმათმატყველება, შესაძლებელი გახდა ამ უნიკალური სიწმიდის ხელთქმნა. აიგო ერთი, მაგრამ უნაკლო კრისტალი, რომელიც, მართლაც, სულიწმიდის მადლითაა ნაკარნახევი და ქართული „ესთეტიკური აზროვნების“ ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა.

მცხეთის ჯვრის განუმეორებლობა და ამასთანავე საყოველთაობა ბუნებრივად აქცევს მას იმ გზაჯვარედინად, რომელზედაც გადის ქართული კულტურის მრავალი კარდინალური საკითხი, როგორიცაა: ძველი და ახალი აღთქმის მიმართებები, ხის კულტი წინარექრისტიანულ საქართველოში და იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, საკურთხევლისწინა ჯვრის გენეზისი და გავრცელების პირობა ქართულ ეკლესიებში, და ბოლოს, ისეთი უნიკალური იკონოგრაფიული არჩევანი ჩვენი საეკლესიო მხატვრობისა, როგორიცაა ჯვრის ამაღლების ხატის დამკვიდრება გუმბათის „ცაში,“ ტრადიციული პანტოკრატორის ნაცვლად, რაზედაც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ. სამეცნიერო ლიტერატურაში საქართველოს საეკლესიო მონუმენტური მხატვრობის ეს მახასიათებელი ნიშანი მოიაზრებოდა ან როგორც ქართლის მოქცევის ისტორიიდან მომდინარედ, ან იერუსალიმური წარმომავლობისად. ორივე ჰიპოთეზას თავისი საფუძველი აქვს, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს ჭეშმარიტ სურათს. ზემორე თხრობაში გაშლილი სივრცე კი გვიჩვენებს, რომ მცხეთის ჯვრის გუმბათის „ცაში“ რელიეფური ქვისწყობით გამოყვანილი რვაქიმიანი ჯვარი უდავოდ არის ასახვა მცხეთის ჯვრის სასწაულისა, რომელიც თავის მხრივ ზედმიწევნით ჰგავს იერუსალიმში ჯვარის გამოჩინებას. რა კავშირია მათ შორის? ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მცხეთის ჯვრის სასწაული იერუსალიმის ლიტერატურული-რედაქციული გავლენის შედეგი კი არ არის, არამედ ორივე მათგანი მერვე დღის მადლის გამოვლინებაა სხვადასხვა დროსა და სივრცეში; მათი სათავე ჯვრის საზოგადო ტრიუმფშია, მსგავსების მიზეზიც ესაა. სწორედ ამის გამო საქართველოს ეკლესიების გუმბათებში გამოსახული „ჯვრის ამაღლების“ გამოსახულებები არაჩვეულებრივი შინაგანი სიმსუბუქით ვარიირებს – ის ხან ანგელოზებით გარშემორტყმულ მცხეთის სასწაულს გვაგონებს, ხან კი ძლევის აღმნიშვნელი წარწერით უფრო კონსტანტინე დიდის გამოცხადებას ემსგავსება და ა. შ. მაგრამ ისევ იბადება კითხვა, თუ ეს საყოველთაო სიმბოლო ქრისტიანობის ძლევისა და ტრიუმფისა ზოგადია, რატომ და როგორ არის იგი ეროვნული? უბრალოდ იმიტომ, რომ საღვთო განგებულებამ სწორედ ამ სახით ინება გამოვლინება ახლადმოქცეულ ქართლში. სხვა ქვეყნებს კი თავისი მოქცევის საკუთარი გზები აქვთ, რომლებიც ასევე მარადიული ჭეშმარიტებიდან იღებენ სათავეს.